



# კაჭინი

„დაკარგული სიბანძღე“

გრიგოლ ჯულუხიძე

1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანია პოლონეთში შეიჭრა. ამ მოვლენამ ბიძგი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ და სისხლიან დაპირისპირებას – მეორე მსოფლიო ომს. ამ გლობალურ კონფლიქტში მთლიანობაში 102 სახელმწიფო ჩაერთო და 61 მილიონი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში ცოტა თუ დაზარალდა ისე, როგორც პოლონეთი.

ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ხელმოწერილი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საფუძველზე, 1939 წლის შემოდგომაზე ნაცისტურმა გერმანიამ დაიკავა პოლონეთის დასავლეთი (ვარშავა, ლუბლინი, კატოვიცე, კრაკოვი, პოზნანი, ბიდგომჰი), ხოლო საბჭოთა კავშირმა – აღმოსავლეთი (ბიაუისტოკი, ვილნიუსი, ლვოვი, პინსკი). შემდეგ, 1941 წლის ივნისში, გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და ახალი ტერიტორიები დაიპყრო. მაშინ ძალიან ბევრ გასაიდუმლოებულ ფაქტს აეხადა ფარდა.



გერმანიის მოულოდნელი და ელვისეური სამხედრო იერიშის (ე.წ. Blitzkrieg) შედეგად, ომის პირველივე დღეებში პოლონეთის რეგულარული და სარეზერვო არმიის ათი ათასობით ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა. საბჭოთა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა (ენკავედე) და გერმანიის საიდუმლო სახელმწიფო პოლიციის (გესტაპო) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, 22,000-მდე პოლონელი სამხედრო „ნითელ არმიას“ გადაეცა. მიუხედავად განსხვავებული სტრუქტურებისა, ენკავედესა და გესტაპოს შორის ძალიან ბევრი მსგავსება იყო. ორივე უწყების სახელი მასობრივ

რეპრესიებთან და ყველაზე სისხლიან მოვლენებთან – გადასახლებებთან, დახვრეტებთან, ეთნიკურ წმენდასთან, არასასურველ ოპონენტთა დევნასთან ასოცირდება. ერთი სიტყვით, შეთანხმების შედეგად, ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები, მათ შორის – ექიმები, მეცნიერები, მასწავლებლები, მენარმეები და სხვა.

1943 წელს, როდესაც გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის აქტიური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა, ვერმახტმა კატინის ტყის საერთო სამარხში 4,400 გვამი აღმოაჩინა. გარდაცვლილთა უმეტესობას სამხედრო შეტონები, ორდენები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღმოაჩნდა, რისი მეშვეობითაც მაშინვე გაირკვა, რომ





**ენკავედი** – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (რუს. Народный комиссариат внутренних дел - НКВД) – ყოფილი საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული მმართველობის სისტემაში ძირითადი რეპრესიული ორგანო 1917-1946 წლებში.



**გესტაპო** (გერმ. Geheime Staatspolizei-დან, „საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია“) – მესამე რაიხის საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია 1933-1945 წლებში.

სამარხში პოლონეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული და სარეზერვო დანაყოფების ოფიცრები განისვენებდნენ. იმავე დღეებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნაცისტებმა კიდევ 7 მსგავს სამარხს მიაგნეს. მაშინვე დადგინდა, რომ პოლონელი ოფიცრები საბჭოელების ხელით იყვნენ 1940 წელს მოკლული.

სახალხო განათლებისა და პროპაგანდის რაიხსმინისტრის – იოზეფ გებელსის განკარგულებით, აღნიშნული ინფორმაცია უმალ გაავრცელა გერმანიის სახელმწიფო რადიომ.

დაუყოვნებელი იყო საბჭოთა კავშირის რეაქციაც – ჯერ კატეგორიულად უარყვეს ბრალდება, შემდეგ კი „ნითელი არმიის“ საფარქვეშ მოქმედმა კონტრაზვერვის ჯგუფმა („სმერუ“) საიდუმლო კომისია დააკომპლექტა გენერალ მერკულოვის, გენერალ-ლეიტენანტ რაიჰმანისა და მომავალი შინაგან საქმეთა მინისტრის სერგეი კრუგლოვის ხელმძღვანელობით. „სმერუში“ პირადად იოსებ სტალინის განკარგულებით შეიქმნა 1942 წელს და ამ ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანა იყო „ანტისაბჭოთა ელემენტების მოსპობა“ და „მოღალატეთა გამოვლენა“.

ადოლფ ჰიტლერი და იოზეფ გებელსი



სერგეი კრუგლოვი და ლავრენტი ბერია





**ვერმახტი** (გერმ. Wehrmacht – Wehr – „იარაღი“, „თავდაცვა“; Macht – „ძალა“) ეწოდებოდა ნაცისტური გერმანიის შეიარაღებულ ძალებს 1935-1945 წლებში.



**„სმერში“** (რუს. СМЕРШ) – საბჭოთა კონტრ-დაზვერვის მთავარი სამმართველო. ამ სამსახურის მიზანი იყო ანტისაბჭოთა მოძრაობებისა და წინააღმდეგობრივი კერების ნეიტრალიზაცია. სმერშის სახელთანაა დაკავშირებული უამრავი გრიფით საიდუმლო ოპერაციის დაგეგმვა-აღსრულება. ერთ-ერთი ასეთი ბნელი საქმე იყო პოლონელი ოფიცრების ლიკვიდაცია და მათი ყოველგვარი კვალის წაშლა.

გამომდინარე იქიდან, რომ „სმერშს“ დებინფორმაციისა და ფაბრიკაციების გავრცელებაში ბადალი არ ჰყავდა, კატინის შესახებ ყოველგვარი სიმართლისა და მტკიცებულების წაშლა ამ გასაიდუმლოებულ უწყებას დაევალა. კომისია კატინში ვთვეს მუშაობდა. ექსპუმაციის გარდა, ოპერაციის მონაწილეები აყალბებდნენ სხვადასხვა დოკუმენტაციასა და ჩვენებებს, არასასურველ მოწმეებს კი სიკვდილით სჯიდნენ ან ასახლებდნენ.

საბოლოო დასკვნა საბჭოთა მეცნიერებმა დადეს, ნეიროქირურგ ნიკოლაი ბურდენკოს ხელმძღვანელობით, რომლის თანახმადაც: „პოლონელი ოფიცრები ყოველგვარი მტკიცებულებებისა და გამართლების შესაძლებლობის გარეშე, ნაცისტური რეჟიმის წარმომადგენლებმა, პირადად ადოლფ ჰიტლერის განკარგულებით, 1941 წლის შემოდგომას დახოცეს“.

სინამდვილეში, პოლონეთის სამხედრო ელიტას ერთპიროვნული ვერდიქტი იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიასა და ნიკიტა ხრუშჩოვის „რეკომენდაციების“ საფუძველზე გამოუტანა. 1940 წლის 2 მარტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ იოსებ სტალინს საიდუმლო ნოტა, სერიული ნომრით 794B მიაწოდა. ამ ანგარიშში კომპარტიის მაღალჩინოსანმა 5 სხვადასხვა ბანაკში (რუსეთში, უკრაინასა და ბელარუსში) განთავსებულ 22,000 პოლონელ ოფიცერს „საბჭოთა კავშირის მტერი“ უწოდა და ბელადს მათი ლიკვიდაციის აუცილებლობაზე გაუმახვილა ყურადღება. ენკავედესა და კომპარტიაში ერთთვიანი მსჯელობის შემდეგ, იმავე წლის 2 აპრილს, კატინის ტყისაკენ ტყვეთა პირველი კოლონა დაიძრა, რომელიც უკან აღარასდროს დაბრუნებულა.



საგანგებო საპატრიმრო ავტობუსი („Черный Ворон“), რომლითაც კატინის ტყეში მიჰყავდათ პატრიმრები დასახვრეტად



გერმანული წარმოების „ვალტერის“ სისტემის იარაღი

## ისტორია

სამხედრო ტყვეთა ორგანიზებული ხოცვა-ჟლეტა 1940 წლის 2 აპრილიდან 12 მაისამდე გრძელდებოდა. თითო კოლონაში დაახლოებით 50-დან 400-მდე „მგზავრი“ იყო, რომლებიც რკინიგზის სადგურიდან საგანგებო საპატიმრო ავტობუსით („Черный Ворон“) კატინის ტყეში მიჰყავდათ, სადაც კოჭავდენი და ერთნაირი ხელნერთ ხოცავდნენ – კეფაში გერმანული ნარმოების „ვალტერის“ სისტემის რევოლვერიდან ესროდნენ (ეს ფაქტი 1990-იან წლებში ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა).

საბჭოელების მიერ პოლონელების დაუნდობელი ხოცვა განსაკუთრებით ტრაგიკული და მძიმე იყო, რადგან არც ერთ სამხედროს არ ჰქონია 1929 წლის ჟენევის კონვენციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის საშუალება, რომლის თანახმადაც, ტყვედ ჩავარდნილი და შემდგომში განიარაღებული ჯარისკაცების სიკვდილით დასჯა და ღირსების შემლახველი მოპყრობა სასტიკად იკრძალებოდა.

ერთ-ერთი მოსაზრებით, კატინის ტყეში ჯალათის ფუნქციას ენკავედეს სულ რაღაც 8-9 ოფიცერი ასრულებდა – წყვილებად მუშაობდნენ. ერთი იარაღს ტენიდა, მეორე ისროდა. თითოეულ მათგანს გამოკვეთილი ხელნერა ჰქონდა. მათი „მუშაობის“ სტილი იმდენად ინტენსიური და სინქრონული იყო, რომ მილიმეტრების სიზუსტით ისროდნენ.

მთლიანობაში, კატინში 4,404 პოლონელი დახოცეს; 3,896 – ხარკოვში; 6,287 – ტვერში; 3,435 – კიევთან ახლოს; 3,800 – მინსკის შემოგარენში (სულ: 21,822 ადამიანი).

კიდევ ერთი უცნობი ფაქტი, რომელიც ე.წ. „მასობრივი დეპორტაციის დღეებით“ არის ცნობილი, 1940 წლის 12-13 აპრილს მოხდა. მაშინ, როდესაც ენკავედე პოლონელ ოფიცრებს ხოცავდა, პარალელურ რეჟიმში, საბჭოთა ხელისუფლება ოფიცრების ოჯახების წევრებსა და ნათესავებს ასახლებდა – სტალინის განკარგულებით, 48 საათში 61,000 პოლონელი გადაასახლეს ყაზახეთში. ძალიან ბევრი მათგანი გადასახლებაში დაიღუპა, გარკვეული ნაწილი კი ყაზახეთში დაფუძნდა და დღემდე იქ ცხოვრობს.



1945 წელს მეორე მსოფლიო ომი დასრულდა და ევროპის ახალ რუკაზე პოლონეთი სოციალისტურ ბანაკში, „რკინის ფარდის“ ჩრდილქვეშ მოექცა. კომუნისტებმა დაუსრულებელ რეპრესიებთან ერთად, პოლონეთში ისტორიის გადანერაც დაიწყეს. გარდა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა, ძირფესვიანად იცვლებოდა ან საერთოდ ქრებოდა კომუნისტური ნარატივისათვის მიუღებელი კონკრეტული ისტორიული მოვლენები თუ ასპექტები. ამიტომაც თითქმის 45 წლის განმავლობაში სოციალისტურ პოლონეთში „დაკარგულად“ ითვლებოდა სიმართლე ტყვეობისას მოკლული პოლონელი ჯარისკაცების შესახებ. მხოლოდ 1987 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც რამდენიმეწლიანი გამოძიების შემდეგ დანაშაულის მთავარი დეტალები და ჩამდენნი გამოავლინა.

2010 წელს რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ კატინის ტრაგედიას „სამხედრო დანაშაული, გენოციდის ნიშნებით“ უწოდა, ხოლო მთავარ დამნაშავედ იოსებ სტალინი ცნო.

მთლიანობაში, კატინში, ტვერში, მინსკში, კიევსა და ხარკოვში 22,000-მდე პოლონელი მოკლეს, რომელთა უმრავლესობას მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი და მნიშვნელოვანი სამოქალაქო თანამდებობა ეკავა. ენკავედეს მიერ დახოცილ ოფიცრებს, მეცნიერებს, ექიმებს, პილოტებსა და ინჟინრებს მხოლოდ 21-წელი (1918-1939) მოუწიათ დამოუკიდებელ პოლონეთში ცხოვრება, თუმცა ვერც მეორე მსოფლიო ომმა, ვერც სიკვდილმა და ვერც სიმართლის დამალვის მცდელობამ ვერ წაშალა მათი სახელი თავისუფალი პოლონეთის ისტორიიდან – მათ დღესაც კი პოლონეთის საუკეთესო ნაწილს – ელიტას უწოდებენ.

